ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ონის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება №60

27 ოქტომბერი 2014 წელი
ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და
ინდ.მეწარმე „დიმიტრი გოშაძე"-ს შორის გაფორმებული N07/06
ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

2014 წლის 12 ივნისს ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ინდ.მეწარმე „დიმიტრი გოშაძე"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება N07/06, პირველი მუხლის 1.1. პუნქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე **ვბრძანებ:**

1. შეწყვეტილი იქნას ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ინდ.მეწარმე 'დიმიტრი გოშაძე"-ს შორის 2014 წლის 12 ივნისს გაფორმებული N07/06 ხელშეკრულება თანახმად ამ ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.5. პუნქტისა.
2. ბრძანების შესახებ წერილობით ეცნობოს ინდ.მეწარმე „დიმიტრი გოშაძეს"-ს და განემარტოს, რომ მას აქვს უფლება ბრძანება გაასაჩივროს სასამართლოში.
3. საფუძველი: ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის,ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტის ბუდუ რეხვიაშვილის მიმდინარე წლის 20 ოქტომბრის N02-158 წერილი.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მერაბი ორდინიძე
მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელი

ონის მუნიციპალიტეტის გამგებელის

მოვალეობის შემსრულებელს

ბა ტონ მერაბი ორდინიძეს

მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული

განყოფილების უფროსის ლერბედი ტყეშელაშვილის

დ ა ს კ ვ ნ ა

ონის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტის ბატონ ბუდუ რეხვიაშვილის მიმდინარე წლის 21 ოქტომბრის N03-1409 წერილის საფუძველზე შევისწავლე ონის მუნიციპალიტეტსა და ინდ.მეწარმეებს: „დიმიტრი გოშაძესა“ და „გიორგი კირვალიძე“-სთან 2014 წლის 29 მაისსა და 12 ივნისს დადებული ხელშეკრულებები N23/05 და N07/06.

აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე ინდ.მეწარმეებს გარკვეული სამუშაოები უნდა შეესრულებინა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, რაც დღემდე არ შესრულებულა. ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.1 პუნქტის მოთხოვნათა თანახმად ინდ.მეწარმეები ექვემდებარებიან საჯარიმო სანქციებს, ხოლო მე-12 მუხლის 12.5. პოუნქტის თანახმად შესაძლებელია ხელშეკრულების შეწყვეტა.

ლერბედი ტყეშელაშვილი

იურიდიული განყოფილების უფროსი

ფაქტი N60

ფაქტი N61.

ონის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

02- 158 20.10. 2014 წ

ონის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ გიორგი ლობჯანიძეს

ბატონო გიორგი,

ზედამხედველობას ვუწევდი, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ კვაშხიეთში სანიაღვრე არხის მოწყობის, შიდა გზების მოხრეშვის და სოფელ შრომის უბანში გზის რეაბილიტაციის სამუშაოების მიმდინარეობას, რომელსაც აწარმოებდა ინდ. მეწარმე „ დიმიტრი გოშაძე", ასევე სოფელ ზვარეთში შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოებს. ინდ. მეწარმე „გიორგი კირვალიძე".

მიუხედავად ჩვენგან არაერთგზის გაფრხილებისა, ი.მ. „დიმიტრი გოშაძე"-ს საერთოდ არ აქვს დაწყებული სამუშაოები, ხოლო ი.მ. „გიორგი კირვალიძე"-ს შესრულებული აქვს სამუშაოების დაახლოებით 80% და ჯერჯერობით აღარ აგრძელებს მუშაობას.

გთხოვთ მიიღოთ თქვენს ხელთ არსებული ზომები, რათა მოხდეს აღნიშნული სამუშაოების შესრულება.

ა

მთ. სპეციალისტი: ზ. რეხვიაშვილი

23/05
07/06

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა
შემოს. № 03-1409
„21" 10 2014